

შპს „მედლაბ 2024“

405696947

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის უწყისი მედლაბ 2024	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	1
1. ზოგადი ინფორმაცია.....	1
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	2
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3
4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	3
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.....	7
6. განმარტებითი შენიშვნები	7
7. საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.....	9

შპს მედ ლაბი

2024

თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ბალანსი	2024
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები (ცვეთის გარეშე)	573,422
აკუმულირებული ცვეთა	(77,888)
არამატერიალური აქტივები ამორტიზაციის გარეშე	2,000
აკუმულირებული ამორტიზაცია	
გრძელვადიანი ინვესტიციები	
კაპიტ. შვედ. პარტნ. გრძელვ. მოთხ. მიმდინარე ნაწილი	
სულ გრძელვადიანი აქტივები	497,534
მიმდინარე აქტივები	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები თბილისი	70,496
სასაქონლო-მატერიალური მარაგები ბათუმი	26,916
სასაქონლო-მატერიალური მარაგები სხვა	-
მოთხოვნები სესხის პროცენტებიდან	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	339,609
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	246
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	-
პერსონალზე გაცემული ავანსები	-
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში 101001000	11,785
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-
გაცემული მოკლევადიანი სესხები ძირითადი	83,829
წინასწარ გადახდილი საპენსიო გადასახადი	3,175
ფული საღაროში	66
ფული რეზიდენტ ბანკებში ლარი	287,692
ფული რეზიდენტ ბანკებში ვალუტა	-
მისაღები პროცენტები	
მოკლევადიანი ინვესტიციები	
სხვა მიმდინარე აქტივები	
სულ მიმდინარე აქტივები	823,814
სულ აქტივები	1,321,348
საკუთარიკაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი	-
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	585,619
გადახდილი დივიდენდები	
გადაფასების რეზერვი	
სხვა რეზერვები და დაფინანსება	
სულ საკუთარი კაპიტალი	585,619
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გრძელვადიანი სესხები	

გადავადებული მოგების გადასახადი	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიმდინარე ვალდებულებები	
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ	669,702
გადასახდელი გადასახადები	13,764
გადასახდელი ხელფასები	51,763
გადასახდელი საპენსიო	
გადასახდელი დივიდენდები	
მიღებული აგანსები	-
გადასახდელი პროცენტები	-
მოკლევადიანი სესხები	500
ვალდებულება მეკავშირე საწარმოების წინაშე	-
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	-
საექვო და გაურკვეველი თანხები	
ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე	
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	735,729
სულ ვალდებულებები	735,729
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1,321,348
	-

მოგება - ზარალის უწყისი	2024
შემოსავალი რეალიზაციიდან დასაბეგრი	-
შემოსავალი რეალიზაციიდან დაუბეგრავე	1,802,074
შემოსავალი რეალიზაციიდან უსასყიდლო	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-
მიღებული შემოსავალი	
ფასდათმობა	(36,000)
სულ შემოსავალი	1,766,074

რპთ	36%
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	-
პირდაპირი ხელფასი	-
ლაბორატორიული ინვენტარი	7,630
ლაბორატორიული მომსახურება	31,071
დამხმარე მასალების დანახარჯები	566,529
ნარჩენების გატანა	7,117
საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადები	600
ლაბორატორიის ცვეთადი ნაწილები	12,728
სხვა საოპერაციო ხარჯები	-
სულ საოპერაციო ხარჯები	625,675
გაყიდვით/შეძენითი საქონელი	73
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება/ფასდათმობა	-
რეკლამის ხარჯი	6,747
სულ რეალიზებული პროდუქციის (მომსახურე	632,495

	1,133,578
მიწოდების ხარჯები	

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
შრომის ანაზღაურება	396,754
სოციალური დანახარჯები	4,015
დაზღვევა	
ოფისის იჯარა	39,100
კომუნალური ხარჯები	-
საოფისე ინვენტარი	428
მიმდინარე რემონტი შეკეთება	
კომუნიკაციის ხარჯები	9
საკონსულტაციო & იურიდიული ხარჯი	1,755
ცვება და ამორტიზაცია	77,888
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,858
ბანკის საკომისიო	1,259
პროგრამირების/კომპიუტერის ხარჯები	27,259
	-
სხვა საერთო ხარჯები	769
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	551,094
სულ საერთო ხარჯები	1,183,589
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	582,484
არასაოპერაციო შემოსავლები	
საპროცენტო შემოსავლები	
არასაოპერაციო მოგება	3,197
კონვერტაცია მოგება	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	3,197
არასაოპერაციო ხარჯები	
არასაოპერაციო ზარალი	
საპროცენტო ხარჯები	
კონვერტაცია ზარალი	62
სულ არასაოპერაციო ხარჯები	62
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	
მოგება დაბეგვრამდე	585,619
მოგების გადასახადი	
წმინდა მოგება/ზარალი	585,619

კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 2024წ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალი	31.12.2024
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი)	0
საემისიო კაპიტალი	0
წინა წლების დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	0
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	585,619
გადაფასების რეზერვი	0
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	0
სულ საკუთარი კაპიტალი	585,619

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მაიფონი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2024 წლის 1 აპრილს. კომპანიის წილის მფლობელი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არის :

მესაკუთრე	პირადი ნომერი	წილის მმართველი
ანზორ ბუბუტიშვილი	01024027847	100%

კომპანია „მედლაბ 2024“ ს/კ 405696947 არის საერთაშორისო სტანდარტების მქონე, მაღალკვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტებული ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია პაციენტებმა ისარგებლონ სრულყოფილი ლაბორატორიული მომსახურებით. მიიღონ პირველადი გადაუდებელ ინფორმაცია დიაგნოსტიკის, მკურნალობის შეფასების და შემდგომი მონიტორინგისთვის. ლაბორატორია აღჭურვილია უახლესი აპარატურით, მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისაგან, რაც უზრუნველყოფს გამოკვლევების ფართო სპექტრს, ტესტირების დიდ დიაპაზონსა და შედეგების მაქსიმალურ სიზუსტეს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვარტალი, კორპუსი N 10, ბინა 28

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 2024 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის უწყისს, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს. არ წარადგენს ქემის მოძრაობის ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით საწარმო მოახდენს აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

საქმიანობის უწყვეტობა

შპს მედლაბ 2024 ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

წარდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს მედლაბ 2024 შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს ლაბორატორიული მომსახურებიდან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემული მომსახურების მომხმარებლისთვის გაწევა.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა სდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლის მიმართ წარმოიშობება ამ უკანასკნელის მიერ საქონლის და/ან მომსახურების მოწოდების შემდეგ, რომელსაც საპროცენტოსარგებელი არ ერიცხება და აღირიცხება გარიგების ფასით.

აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება.

შპს მედლაბ 2024 ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების ჩამოწრა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით:

კომპიუტერები	20%
ავეჯი ოფისისათვის	20%
მსუბუქი ავტომობილები	20%
არამატერიალური აქტივები	15%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შეძენილ პროგრამულ უზრუნველყოფებს, მიღებულ სავაჭრო ნიშნებს და პატენტებს.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთა სასარგებლო ექსპუატაციის ვადის პროპორციულად.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების 50%-ზე მეტს.

"მედლაბ 2024" -ს შვილობილი საწარმო არ გააჩნია.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს მაიფონის წესდებით. შპს მაიფონის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლის მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლილების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოდგენილია მათი გადახდის იურიდიული მოვლეობა. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სესხები

სასესხო აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღირიცხება, როგორც ფინანსური შემოსავალი/ხარჯი.

მოკლევადიან სესხებად კლასიფიცირდება მოთხოვნამდე სესხები ან სესხები, რომლის დაფარვის უპირობო ვალდებულება არაუმეტეს 12 თვეა, ხოლო გრძელვადიან სესხებად კლასიფიცირდება ის სესხები, რომლის დაფარვის ვალდებულება 12 თვეს აჭარბებს.

იჯარა

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარის ოპერაციები, ხოლო ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში არსებული საიჯარო გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, ხოლო მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ, თუკი მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ამონაგების აღიარება ხდება უკვე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. განმარტებითი შენიშვნები**ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი**

	31.12.2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	66
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	287,692
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	0
სულ	287,758

მარაგები

	31.12.2024
რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელი	73
სულ	73

ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები	ავეჯი ოფისისათვის	მანქანა დანადგარები	სულ
საწყისი ნაშთი, 01.04.2024	0	0	0	0
შემოსვლა	1,277	27,400	544,745	573,422
გასვლა	0	0	0	0
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	83	3,846	73,959	77,888
საბოლოო ნაშთი, 31.12.2024	1,194	23,554	470,786	495,534

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

საწყისი ნაშთი, 01.04.2024	0
შემოსვლა	2,000
გასვლა	0
ცვლათა პერიოდის განმავლობაში	0
საბოლოო ნაშთი, 31.12.2024	2,000

ამონაგები

2024წ

მომსახურების გაწევიდან	1,766,074
სულ	1,766,074

სავაჭრო მოთხოვნები

31.12.2024 წ

სავაჭრო მოთხოვნები	339,609
სულ	339,609

გადახდილი ავანსები

	31.12.2024წ
სხვა	246
სულ	246

მიღებული გრძელვადიანი სესხები

	31.12.2024 წ
ბანკი	0
დამფუძნებელი	500
სულ	500

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024 წ
სავაჭრო ვალდებულებები	669,702
საგადასახადო ვალდებულებები	13,764
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	51,763

7. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.